

ქ. თბილისი

2021 წლის 27 დეკემბერი

ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული პანდემიის გამო წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ფორმატთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების თაობაზე.

შესაბამისად, თსუ სენატის სამდივნოს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ელ. მისამართებზე დაეგზავნათ წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, შესაბამისი მასალებით და ეთხოვათ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, დისტანციურად დააფიქსირებინათ პოზიცია, უჭერდნენ თუ არა მხარს წარმოდგენილ საკითხებს.

### დისტანციური სხდომის დღის წესრიგი:

1.სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა (მომხსენებელი: გიორგი ჩაკვეტაძე)

2. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 დეკემბრის №113/2021 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებლები: ლაშა სალინაძე, რამაზ ხომერიკი)

3.„სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის №64/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ”აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 დეკემბრის №119/2021 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: კახაბერ ჭეიშვილი)

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცება (მომხსენებელი: ლაშა სალინაძე)

თსუ სენატის სამდივნოში, ელ. ფოსტის მეშვეობით, თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგმა 49 წევრმა:

1. ვლადიმერ მარგველაშვილი 2. ლევან საბაური 3. კახაბერ ლორია 4. ნინო აბესაძე 5. მანანა რუსეიშვილი 6. ზურაბ გაიპარაშვილი 7. ილია თავხელიძე 8. ადა ნემსაძე 9. შოთა კეჭერაშვილი 10. ნოდარ ლომიძე 11. ეთერ კაკულია 12. საბა სახვაძე 13. ნაზირა კაკულია 14. მარინე ხუციშვილი 15. ანასტასია ზაქარიაძე 16. მანანა ნიკოლეიშვილი 17. ციური სუმბაძე 18. ელისაბედ ბჟალავა 19. ლია მაჭავარიანი 20. გვანცა გვანცელაძე 21. ევა ვარდოშვილი 22. სოფიო ხუციშვილი 23. მარინა გარიშვილი 24. თემურ ცქიტიშვილი 25. მიხეილ ბახტაძე 26. მარინე ხუციშვილი 27. გიორგი

გოგსაძე 28. მიხეილ რუხაია 29. აპოლონ თაბუაშვილი 30. კობა ყალიჩავა 31. თამილა ჩალაძე 32. ალექსანდრე გაბაშვილი 33. მათა ივანიძე 34. ბექან თუთბერიძე 35. ნინო ჭალაგანიძე 36. ელენე ბებერაშვილი 37. ირინე ჟვანია 38. დამი ჩიტაია 39. დინა ხუციშვილი 40. მათე შვანგირაძე 41. თამარ ლაშვი 42. თამარ ბერაძე 43. ნინო ჩახუნაშვილი 44. მარიამ თვალაძე 45. გიორგი თუმანიშვილი 46. ლალი ახალბედაშვილი 47. გიორგი ტაბატაძე 48. ნოდარ ხოდელი 49. თინა ქიტუაშვილი (დანართი 1)

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დღის წესრიგის მე-4 საკითხის (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცება) განხილვაში მონაწილეობდა აკადემიური საბჭო (დანართი 2).

დისტანციური სხდომის დღის წესრიგის 1-ელ საკითხთან დაკავშირებით (სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა) წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ეცნობათ, რომ საკითხი ეხება იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენლის - ირაკლი ონიანისათვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტას, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გამო. ( უფლებამონაცვლე არ ჰყავს);

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-2 საკითხთან („სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 დეკემბრის №113/2021 დადგენილების დამტკიცება) დაკავშირებით წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს წერილით (N 26505/28 12/12/2021) მომართა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ბატონმა რამაზ ხომერიკმა და ითხოვა, ოქმში ჩანაწერის დაფიქსირება, რომ ხელფასების გაზრდა განხორციელდება 2022 წლის 1-ლი იანვრიდან. თსუ კანცლერმა, ლაშა საღინაძემ მხარი დაუჭირა ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის ანაზღაურების გაზრდას 2022 წლის 1 იანვრიდან.

წარმომადგენლობითი საბჭოს რამდენიმე წევრის მიერ უარყოფითი პოზიცია დაფიქსირდა დისტანციური სხდომის დღის წესრიგის მე-4 საკითხთან ( სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცება) დაკავშირებით. როგორც წარმომადგენლობითი საბჭოს იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენელმა ქალბატონმა მათა ივანიძემ აღნიშნა, ბიუჯეტის შემოთავაზებულ პროექტს, კერძოდ, იურიდიული ფაკულტეტისთვის განსაზღვრულ ასიგნებებს, მხარს არ უჭერს, ვინაიდან იგი უგულებელყოფს

ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულისთვის, ფაკულტეტისთვის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებულ ავტონომიას. განასკუთრებით გამოყო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის არსებული რეჟიმის რეფორმირებისა და დახვეწის აუცილებლობა, რათა მაქსიმალურად გათვალისწინებული და ურთიერთშეჯერებული იყოს დაწესებულებისა და მისი დარგების საჭიროებანი და ინტერესები. აღნიშნული პოზიცია გაიზიარეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: ქალბატონმა მარინა გარიშვილმა, ბატონებმა გიორგი თუმანიშვილმა, კობა ყალიჩავამ, თემურ ცქიტიშვილმა და გიორგი ტაბატაძემ;

შესაბამისად, მიღებულად ჩაითვალა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. შეუწყდეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენელს - ირაკლი ონიანს;

მომხრე: 49

წინააღმდეგი: 0

2. ა) დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 დეკემბრის №113/2021 დადგენილება წარმოდგენილი სახით;

ბ) გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 1 იანვრიდან;

(დანართი 3)

მომხრე: 49

წინააღმდეგი: 0

3. დამტკიცდეს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის №64/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 დეკემბრის №119/2021 დადგენილება წარმოდგენილი სახით. (დანართი 4)

მომხრე: 49

წინააღმდეგი: 0

4. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით (დანართი 5)

მომხრე: 43

წინააღმდეგი: 6

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი -

ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი -

გიორგი ჩაკვეტაძე

**2021 წლის 27 დეკემბრის დისტანციური სხდომის ფორმატში (სხდომა №7, ელ.ფოსტის გამოყენებით) მონაწილე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:**

**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი**

**პროფესორები:**

აბესაძე ნინო -

საბაური ლევანი -

კაკულია ნაზირა -

**სტუდენტები:**

სახვაძე საბა -

ბერაძე თამარი -

შვანგირაძე მათე -

ლაშხი თამარი -

**ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**პროფესორები:**

თუთბერიძე ბეჟანი -

მაჭავარიანი ლია -

თავხელიძე ილია -

**სტუდენტები:**

ტაბატაძე გიორგი -

## იურიდიული ფაკულტეტი

### პროფესორები:

ყალიჩავა კობა -

გარიშვილი მარინე -

თუმანიშვილი გიორგი -

ივანიძე მაია -

## მედიცინის ფაკულტეტი

### პროფესორები:

მარგველაშვილი ვლადიმერი -

ქიტუაშვილი თინა -

ხოდელი ნოდარი -

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

### პროფესორები:

გოგსაძე გიორგი -

ჭალაგანიძე ნინო -

### სტუდენტები:

ბებერაშვილი ელენე -

ჩიტაია დაჩი -

გაბაშვილი ალექსანდრე -

## ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

### პროფესორები:

ჟვანია ირინე -

ჩახუნაშვილი ნინო -

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

### პროფესორები:

ბჟალავა ელისაბედი -

რუსეიშვილი მანანა -

პაიჭაძე თამარი -

ვარდოშვილი ეკა -

თაბუაშვილი აპოლონი -

ზაქარიაძე ანასტასია -

ლორია კახაბერი -

ბახტაძე მიხეილი -

### სტუდენტები:

თვალაძე მარიამი -

კეჭერაშვილი შოთა -

ხუციშვილი დინა -

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

გაიპარაშვილი ზურაბი -

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ცეციშვილი თემური -

ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი

ახალბედაშვილი ლალი -

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ხუციშვილი მარინე -

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნემსაძე ადა -

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რუხაია მიხეილი -

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

ხუციშვილი სოფიო -

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ლომიძე ნოდარი -

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

კაკულია ეთერი -

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური -

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცელაძე გვანცა -

მ. ნოდინას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი

ნიკოლაიშვილი მანანა -

თსუ ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფ. ინსტიტუტი

ჩალაძე თამილა -



სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური  
საბჭოს წევრთა სია (წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი  
27.12.2021წ. №7)

1. შარვაშიძე გიორგი, რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
2. ავაზაშვილი ნიკოლოზ
3. ამირანაშვილი ავთანდილ
4. გაგნიძე ნონა
5. ზაუტაშვილი მარინე
6. კუხიანიძე ალექსანდრე
7. ლობჯანიძე გია
8. მალრაძე ვახტანგ
9. მუკბანიანი ომარ
10. სილაგაძე ავთანდილ
11. ფერაძე გოჩა
12. ქურდაძე რამაზ
13. ღვედაშვილი გიორგი
14. ღონღაძე ალექსანდრე
15. შალიკაშვილი მორის
16. შანიძე რევაზ
17. შენგელია თემურ
18. ჩიტაშვილი მარინე
19. წერეთელი მარი
20. ხარაიშვილი ეთერ
21. ხაჩიძე მანანა
22. ხუსკივაძე მამუკა
23. ხუციშვილი ქეთევან



სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო  
დადგენილება

№ 113/2021

10 ოქტომბერი 2021წ.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე


საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2021 წლის 5 დეკემბრის №25791/28 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 დეკემბრის №21 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში და პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №5 ჩამოყალიბდეს ახალი, წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული სახით (დანართი №5).
2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე  
რექტორი  
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე



სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
**ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალის  
თანამდებობრივი სარგო

1. „ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 1550 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1250 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 950 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

**ბ.ა) პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო

პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

#### **ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

### **ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

3. „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 3100 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 2500 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1900 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

5. წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალს შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

6. წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:

ა) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება;

ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;

გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

დ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებული, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადი სახით წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ე) შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციისა ან/და აკრედიტაციის ან/და სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა (ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ვ) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირება, დისერტაციის დაცვის, ასევე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიების წევრობა.





N 27303/10  
20/12/2021

27303-10-3-202112201528



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

### წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 დეკემბრის №113/2021 დადგენილებას.

დანართი: 7 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს  
თავმჯდომარეს, ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს,

ბატონო ვლადიმერ,

გთხოვთ წარუდგინოთ სენატს დასამტკიცებლად აკადემიური საბჭოს დადგენილებით (N: 113/2021, თარიღი: 10/12/2021) განსაზღვრული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის სახელფასო სარგოს გაზრდის საკითხი.

გთხოვთ აგრეთვე, ოქმში ჩაიწეროს რომ ხელფასების გაზრდა განხორციელდება 2022 წლის 1-ლი იანვრიდან.

პატივისცემით,

რამაზ ხომერიკი



ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი  
ადმინისტრაცია



სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 119/2021

22 ოქტომბერი 2021წ.

**„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის №64/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის 2021 წლის 15 დეკემბრის №26927/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 დეკემბრის №22 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის №64/2019 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში:

ა) მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ცენტრისათვის უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელებებია: ცენტრის ხელმძღვანელი, ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე, ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, ადმინისტრატორი, მენეჯერი, სპეციალისტი, ასისტენტი.“;

ბ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის:

ბ.ა) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) ცენტრის ფარგლებში ორგანიზებას უწევს პროფესიული პროგრამების ავტორიზაციის, პროფესიული გადამზადების/მომზადების პროგრამების განხორციელების უფლების დადასტურების, მოპოვების პროცედურებს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობით;“;

ბ.ბ) „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული სხვა პერსონალის სისტემატიური შეფასების პროცესს;“;

ბ.გ) „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სასწავლო და საწარმოო პრაქტიკების ორგანიზებისთვის დამსაქმებლებთან ერთად გეგმავს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს;“;

გ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის:

გ.ა) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) მონაწილეობს კომპეტენციის ფარგლებში პროფესიული პროგრამების ავტორიზაციის, პროფესიული გადამზადების/მომზადების პროგრამების განხორციელების უფლების დადასტურების, მოპოვების პროცესში თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით;“;

გ.ბ) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ორგანიზებას უწევს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების/შერჩევის პროცედურების განხორციელებას კანონმდებლობისა და თსუ-ს სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით;“;

გ.გ) „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვების, კვალიფიკაციის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენისა და მობილობის პროცედურების განხორციელებას კანონმდებლობისა და თსუ-ს სამართლებრივი აქტების საფუძველზე;“;

დ) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის:

დ.ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) უზრუნველყოფს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას;“;

დ.ბ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ცენტრის ხელმძღვანელს წარუდგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების კანდიდატურებს;“;

დ.გ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისთვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას;“;

დ.დ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ორგანიზებას უწევს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების/შერჩევის პროცედურების განხორციელებას კანონმდებლობისა და თსუ-ს სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით;“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ს კანცელარიას.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე

რექტორი

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე





N 27928/10  
24/12/2021

27928-10-3-202112241650



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

### წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის №64/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 დეკემბრის №119/2021 დადგენილებას.

დანართი: 3 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 27687/10

23/12/2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს  
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

დასამტკიცებლად გიგზავნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტს.

დანართი 3 ფაილი.

ლაშა სალინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**გადასახდელები (ნაერთი)**

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წელი (გეგმა)	2022 წელი (გეგმა)	მ.შ. საკუთარი სახსრები (გრანტების გარეშე)	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	მ.შ. გრანტები
<b>01 00</b>	<b>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი</b>	<b>107,526,146.00</b>	<b>112,051,796.80</b>	<b>76,892,236.80</b>	<b>20,869,560.00</b>	<b>14,290,000.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	3,145.00	3,158.00	1,725.00	1,433.00	
	<b>ხარჯები</b>	<b>84,846,556.00</b>	<b>90,620,966.80</b>	<b>65,393,436.80</b>	<b>13,637,530.00</b>	<b>11,590,000.00</b>
	შრომის ანაზღაურება	30,631,720.00	41,814,500.00	32,727,980.00	9,086,520.00	-
	საქონელი და მომსახურება	30,511,681.00	33,697,538.80	27,544,348.80	3,028,190.00	3,125,000.00
	პროცენტი	-	-	-	-	-
	სუბსიდიები	1,972,440.00	2,193,000.00	377,000.00	416,000.00	1,400,000.00
	გრანტები	1,268,000.00	1,398,000.00	288,000.00	-	1,110,000.00
	სოციალური უზრუნველყოფა	200,000.00	200,000.00	200,000.00	-	-
	სხვა ხარჯები	11,418,615.00	11,317,928.00	4,256,108.00	1,106,820.00	5,955,000.00
